საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
**MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო**

**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW MARKET SURVEILLANCE AGENCY**

**0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: 1483**
**8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: 1483**

KA000039432965421

№ **01/22** **08 / თებერვალი / 2021 წ.**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

სააგენტოში შემოსულია თქვენი 2021 წლის 19 იანვრის N3-694 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ. აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ რომ, წერილში მითითებული ტექნიკური რეგლამენტების ამოქმედების ვადის ცვლილებისას გათვალისწინებულ იქნა ეკონომიკური ოპერატორების თხოვნა, რადგანაც მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ კერძო სექტორი ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები 2021 წლის პირველ იანვრამდე, მათ ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) პანდემიის გამო, კანონმდებლობით გათვალისწინებული საშეღავათო პერიოდით ვერ ისარგებლეს და ვერ შეძლეს ახალ რეგულაციებთან საკუთარი საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანა. არსებულმა შეზღუდვებმა შეაფერხა მათი მხრიდან სათანადო კომუნიკაციის დამყარება მომწოდებელ სუბიექტებთან, რითაც შეუძლებელი გახდა ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან დოკუმენტური შესაბამისობის უზრუნველყოფა.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ელენე კუტალაძე